ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ
4781
2

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ
Მ. Დ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲘᲡᲐ
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ Ქ. № 6.
1908

# ᲐᲥᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

1908

83
11
12
13
15
17
19
20
23
25
26
29
30
32
33

# შინაარსი:


| | | |
|---|---|---|
| | | 33 |
| 1 | სამშობლოსადმი — **ია ეკალაძისა** | |
| | ფშავლის შემოთვლილი ლექსი **თ. რაზიკაშვილისა** | 11 |
| | ლექსი — **კორტოხასი** | 12 |
| 4. | ლექსი — **დ. თომაშვილისა** | 13 |
| | აკაკი, გიხარიოდენ! — **ა. ცაგარლისა** | 15 |
| 6. | აკაკი და «მსოფლიო გოდების» პოეზია — **ა. ხახანაშვილისა** | 17 |
| 7. | ლექსი — **დუტუ მეგრელისა** | 19 |
| 8. | ლექსი — **ცენტერაძისა** | 20 |
| 9. | ლექსი — **ი. ევდოშვილისა** | |
| 10. | აკაკი წერეთელი შოთასა სთხოვს — **ი. ფანცხავასი** | 23 |
| 11. | ლექსი — **ა. შანშიაშვილისა** | 25 |
| 12. | მყინვარი — **სვ. ყიფიანისა** | 26 |
| 13 | ლექსი — **დარიასი** | 29 |
| 14. | სინათლისკენ — **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი** | 30 |
| 15. | ლექსი — **ვ. რუხაძისა** | 32 |
| 16. | ლექსი — **შ. ნავთლუღელისა** | 33 |
| 17. | ქართული პოეზიის იალბუზი — **ი. გოგებაშვილისა** | 34 |

18. მწარე მოგონება — **ს. მერკვილაძისა** ... ... ... ... ... ... ... ... ... ... 40
19. ლექსი — **გ. ნუციძისა** ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... 45
20. კრიტიკული ესკიზი — **ი. გომართელისა** 46
21. ლექსი — **ლ. კატოძისა** ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... 48
22. მოგონება — **ივ. ბუქურაულისა** .. ... ... ... ... ... ... ... ... ... ... 49
23. პოეტი — **შ. მღვიმელისა** ... .. ... ... 52
24. ლექსი — **ი. მჭედლიშვილისა** . . ... ... ... ... ... ... ... ... ... 54
25. ლექსი — **კ. გულიაშვილისა** ... ... ... ... ... ... ... 55
26. გოგასეული კოშკი — **იასონ წერეთლისა** .. 56
27. ლექსი — **კ. კვინიხიძისა** ... ... ... .. 59
28 ლექსი — **კ. მაყაშვილისა** ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... 60
29. ექსპრომტი — **პასიკო ლორ—სა** ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... 62
30. ლექსი — **გიორგი ქიზიყელისა** ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... 63



# სამშობლოსადმი...

ორძნობით აღვსილი, ოცნებად გადაქცეული ვზივარ ჩემ მარტოხელ ოთახში — შორეულ რუსეთის ერთ-ერთ გადაღუპულ ქალაქში — და გონების თვალით გამოგყურებ შენ, ჩემო პაწია, მაგრამ ტურფა სამშობლოვ!

სევდა მკლავს უშენოს!... შენი მზე ველარ მათბობს, ვერ მახალისებს! რომ იცოდე როგორა ცივა აქეთ, როგორი დაბეჩავებულია აქაური ბუნებაც, ცხოვრებაც, ხალხიც!? გავერანებულ ყინვას გაუთოშავს, შეუკრავს, გაუფიცრავს აქაურობა... ვინ, ვინ დაჰკრა პირველად ბარი ამ დამზრალ მხარეს, ვინ ჩაუყარა პირველი საძირკველი აქაურ ძალ-მომრეობას, ხალხთა აქაურ ძალ-მოსილებას?!

— ვინ?

— დროთა ბრუნვამ, ჟამთა ვითარებამ!

ამავე დროთა ბრუნვამ, ამავე ჟამთა ვითარებამ დაგაძაბუნა შენც, ჩემო თვალის სინათლევ, „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეე!“... თავ-გზა აგირია, მანდილი მოგხადა, გაულხობელ ყინულთა გროვისა და გაუვალ ტევრთა შემაყურებელი გაგხადა. შურმა და მტრობამ გული მოგიკლა, ნდობამა და რწმენამ მოგატყუა... ოდესღაც ქედ-მაღალი და შეუპოვარი კაპასი დედინაცვლის ობოლ გერად გადაგაქცია!

შავ და უკუღმა ის დღე და საათი!

სისხლისგან დაცლილმა, დამცირებულმა, ჯან-ღონე გამოლეულმა თავი მისდე შენ მოამაგე კავკასიონის კალთაზე და მიიძინე... მიიძინე სასოწარ-

კვეთილების ძილითა, მიიძინე ისე მკვდრულად, როგორც დაიძინებს ხოლმე ნაცემ-ნაგვემი, უმღვთოდ ნამუშავარი მონა უსახსრობისა — უსიზმროდ, უოცნებოდ!...

ტყვილად მოსჩქეფდენ წყალნი შენნი მთა-კლდეებიდან; ტყვილად მოჰ ქუხდენ ჩანჩქარები მწვერვალებიდან; ტყვილად ყვაოდენ ველ-მინდორნი ტურფად, საამოდ; ტყვილად დაჰქროდენ ქარნი შენნი აღმა და დაღმა; ტყვილად შფოთავდენ ტყენი შენნი უღრან-უვალნი; ტყვილად გმინავდენ ხევ-ხუვები ძაძით მოსილნი!

დაღლილ-დაქანცულს აღარაფერი არ გიფრთხობდა მკვდრულ, მაგარ ძილსა!

— ძლივს არ მოკვდაო! გაიხარეს ყველა იმათ, ვინც შენ სიკვდილს მოელოდა და ფერხული ჩააბეს. დაივიწყეს შენი ამაგი, შენი მასპინძლობა, შენი ადამიანური და დედაშვილური მოპყრობა. სვავებივით წამოიშალნენ საბუდრებიდან და დაგიწყეს კორტნა, გულ-მკერდის წიწკვნა: აღარ რცხვენოდათ არც შენი ღვაწლ-მოსილი ჰაღარისა, აღარც შენი ხავს მოდებულ ციხე-კოშკებისა, აღარც შენი კულტუროსან ტაძარ-გალავნებისა! გაგთელეს, გაგანადგურეს, სახელი შენი ამოშალეს ცოცხალთა წიგნიდან .. თვით შენმა შვილებმაც კი ზურგი გაქციეს და სხვის ბუზმენტებზე გადასცვალეს შენი ამაგი!. . უკეთურნი!!

შენ-კი კვლავ გეძინა! ათასში ერთხელ აღმოგხდებოდა ხოლმე ოხვრა უიმედობისა, კვნესა ბწუხარებისა, მაგრამ ეს კვნესაც აღარავის აღარ ესმოდა!

დამფრთხალნი, დაკნინებულნი შვილნი შენნი სხვის მონობაში, სხვის ვედრებაში ატარებდენ დღესა და ღამეს და...

სხვა იგიც გვიმღერდა ყალბად, გვართობდა ცბიერის ალერსით... გვათრობდა, გვაბრუებდა...

ეიღუპებოდით! მაგრამ...

მადლმა შენგნით დანათესმა, ნიჭმა შენგნით ძუძუ-ნაწოვნმა, სევდამ

შენგნით განაწონებმა და ბოღმამ შენ გულში დანაგუბევმა წარმოშობა კაცი იგი, რომელმაც ხმა ჰყო ხმითა დიდითა:

— „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო!“ ხმა ესე მოედო შენ გულ-ჩათხრობილ მთა-ველებს, ატეხილ ჭალებს, დასერილ ხევ-ხუვებს და შეირხნენ, შეიშმუშნენ!

ჩვენ კი გვეუცხოვა .. გაგვეკინა... გაგვიკვირდა!... გარეშეთაც სიცილი დაგვაყარეს...

მაშინ კაცი იგი დადნა წმინდა გრძნობად, იქცა ტანჯულ გულად თავისის მშობლისა, შედგა ტრფობის მთაზე და მოჰყვა სიმღერას, სიმღერას სევდიანს, ტკბილს, ზე-აღმტაცს, მშობლიურს, დაუსრულებელს ..

სული ჩაედგა შენ ველ-მინდორს, ამეტყველდა შენი, — ჟამთა — სიავის გამო, — ხავს-მოდებული ციხე-კოშკები, მამა-პაპათა აჩრდილებმა დაიწყეს მოთქმა-გოდება ტიალად შთენილ ტაძართა ნანგრევებში...

გული გვიპოვეს ჩვენც ამ ხმებმა!.. შეგვრცხვა ჩვენი მონად ყოფნისა... მოგიახლოვდით, ყური დავუგდეთ შენ მაჯის ცემას...

წინ მოგვიძღოდა კაცი იგი... შენი მგოსანი!

ვარდ-ზამბახებმა გაუღიმეს მღაღადებელსა, ყვავილებმა გადაუხსნეს თვისი ლამაზი გულ-მკერდი და უძღვნეს ნექტარი სიცოცხლისა შენდა სამკურნალოდ.

უფრო აღფრთოვანდა მგოსანი! სასიცოცხლოდ რომ მოგაბრუნა, მქუხარე ჰანგებად გადაიქცა! .. გრძნეულის ხელით მან მობოჭა ჩვენი გულის ძაფები, დასწნა და ჩამოქნა იგინი თავისს ჩანგის სიმებად... ჩანგი იგი საწირავად თავს შემოგავლო და თან სიხარულის ცრემლები დაგაფრქვია. ცრემლმან მისმა მოგბანა ჭრილობანი, სიმღერამან მისმა კვლავ გაგაამაყა, კვლავ თავისუფალი ცხოვრება მოგაწყურა...

დიდება, დიდება თავისუფლებას!!

სიმართლე იმარჯვებს, ბურუსი იფანტება... შენი მგოსანი შარავანდედით იმოსება!...

აცა! დაფრთხენ, დაიხაფრნენ შენი მტერნი. აქა იქ დარჩენილ წყვდიადებს-ღა ეფარებიან. ოხ, რა გველურათ იღიმებიან?! მაგრამ ნულარ გეშენის, ჩემო ყველავ! შენი მზე უკვე ამოდის!

ჩვენ გამოვფხიზლდით, შენც გამოცოცხლდი... ჩვენი ერი ლიტანიობს!!

ვაშა, მამულიშვილებს!!...

**ია ეკალაძე**

# ფშაველის შემოთვლილი

ენაცვლე, ბერო, მინდიავ,
მუხლი გამოგყვა მგლისაო,
გამბედაობა ვეფხვისა,
ზორს ჰვრეტა შავარდნისაო,
გული კი სიყვარულითა
მგზნებარე ქვეყნისთვისაო!

მარტოკა ჩახველ ომშია,
თან მადლი ჩაგყვა ღვთისაო,
ჩამოგყვნენ ორნი თუ სამნი, —
სურვილი ჰქონდათ ცდისაო,
არ იმჩნევთ მარტო ხელობას —
შუქ გეფინებათ პირსაო;
მაღლა გეპირათ ალამი,
არ დაგიშვიათ ძირსაო,
ელვის ფრად ამოდიოდა
ხმა თქვენის ფრანგულისაო!

რა უყავ ამხანაგები,
სად დაგრჩნენ ბრძოლის ველზედა?
— მოღალულებმა ომითა
მშობელი ქვეყნის მკერდზედა,
სამუდმო მოსასვენიო
ჰპოვეს გმირების გვერდზედა!

თმა-წვერით ვერცხლად ქცეულო,
გვიმღერი განთიადზედა,
ჩვენც შენით მოხიბლულებსა
თვალი გვიჰირავ შენზედა,
ნუ ჩაგვიქრები, მნათობო,
დღეს ნუ შეგვიცვლი ბნელზედა!

**თ. რაზაკაშვილი**

* * *

ციბნელეში, ვით ლამპარი,
ეკლიან გზას გვინ თებდი.
ძმობასა და ერთობასა
გულ-ახდილად ჰქადაგებდი.
საპირადო უარჰყავი,
შენს სამშობლოს მტლათ დაედე,
მოსარჩლობა დასჯილ ხალხის
თავზე იდევ და გაბედე.
მშიერ-მწყურვალს ხელში კალმით
ღამე ხშირად გითევია,
თავგანწირვით სამშობლოსთვის
ტანჯვა, შრომა გიწევია.
სოფელმა ვერ მოგისყიდა
ვერც ჩინით და ვერც ფულით.
შენ სამშობლოს სიყვარულმა
გაგიტაცა სულით, გულით!
ენა ბასრი, პირწყლიანი,
მოსაუბრე, ლმობიერი,
უბოროტო წმინდა აზრის
გამომთქმელი, გონიერი,
მედგარ შრომით მიზნისაკენ
მიდიოდი ქედუხრელი,
შრომის ნაყოფს მოესწარი,
გახდი ქვეყნის საყვარელი.
ვაშა, ვაშა შენსა სახელს
და შენს მშობელს პატიოსანს!
ვაშა ერსაც, რომ იძლევა
ქვეყნისათვის შენებრ მგოსანს.

**კორტოხა**

* * *

ვითა შუქურა წყვდიადში,
ობლობდი, მარტოხელობდი,
დარაჯად ულექ ქვეყანას,
მოვაჟკაცობდი, ქველობდი;
დაკარგულ სატრფოს ძებნაში
ავთანდილ-ტარიელობდი,
ტკბილ-ქართველობდი თავითვე,
მუსიკობ-რუსთაველობდი!...

—

ჩვენის წარსულის მოწმობით
აწმყო დარდს გაიქარვებდი,
მყობადს იწვევდი ოცნებით,
მითივე გაიხარებდი;
მახვილი კალმის წვერითა
ქვეყნის მტერს ასამარებდი,
უხმობდი დედას ქართლისას,
ანინებ-ათამარებდი!...

—

მშობელი ქვეყნის ვარამი
უბით რომ გიტარებია,
ვით წალკოტს ნერგი დაგირგავს,
გიზრდია გიხარებია;
სამშობლო—ხატსა, ქვეყანა—
სახატეს გიდარებია,
თვით წმინდა სანთლად ნთებულხარ,
გიციმციმ-გიდარებია!...

—

ნაამაგარი ქვეყნისთვის
იდუმალ განაზრახევი,
მესაიდუმლობ ერის გულს,

მისგანვე ნარწევ-ნარხევი!
აჰა, იხილე ნაყოფი,
შენგანვე ნამუშაკევი:
შობილმა მშობელს მიუძღვენ
გრძნობა-ფიქრთ ნაკარნახევი!...

—

აგყვავებია იმედი,
„გმირებს უყივის ნაღარა! ..“
არა თუ შენი, მოხუცო,—
მტრის გული იჭვმა დაღარა!...
მეც, შენსა მორჩილს, მოწაფეს,
რომ გული დამწყდეს აღარა,
ნება მომეცი დავდაფნო
ეგ შენი წმინდა ჭაღარა!..

**დ. თომაშვილი**

# აკაკი, გიხარულდენ!

ამ უკანასკნელ წლებში ყველა „ერთობას“ გაიძახიდა სიტყვით, და საქმით კი, როგორც წინათ, ეხლაც ჩვენი საზოგადოება ისევე დაქსაქსულია, დაქუცმაცებულია, დასებათ და ჯგუფებათ დაყოფილი და ერთი მეორესაგან განცალკევებული, როგორც წარსულში, და ეს იყო ყოველთვის ჩვენი ისტორიული ჭირი და ვარამი. თემათ და თემათ დაყოფილი საქართველოს ხალხი ერთმანეთს ებრძოდა, ამას ალევდა თავის ძალ-ღონეს და ამითი თავის თავს ჰღუპავდა, უმეტეს გარეშე მტრებისა...

აკაკიმ თავის ნაწერებში „ერთობის“ იდეალი განახორციელა და სული ჩაუდგა: იმისთვის არ იყო არც იმერეთი, არც კახეთი, არც სამცხე, არც რაჭა და სხვანი,—იყო მხოლოდ **ერთი საქართველო,** და მგოსანი ნახევარი საუკუნე ამას თავს ევლებოდა და დასტიალებდა, როგორც არწივი თავის წიწილებს, და თანაც მოსთქვამდა და ზედ დამღერდა მშვენიერი ლექსით ხან „გლოვის ზარის“ კილოზე და ხან „ძლევისა“ გალობისა გალობით. „ერეკლე,“ თუ „თორნიკე“, თუ „სოლომონ დიდი“, თუ „როსტომ, რაჭის ერისთავი“ და სხვანი ამერ-იმერნი ყველანი იგივე ქართველსიანი იყვნენ, სულ ერთი ჯურის, მოდგმის და ტომის, ერთი ქართველი დედის ღვიძლი შვილნი იყვნენ იმის თვალში, სულში და გულში და სულ ერთ ქართველ ერს შეადგენდნენ.

ეხლაც, ნახევარი საუკუნის დღეობის გამო დღესასწაული აკაკის პატივსაცემად გამართული აღმოსავლეთის საქართველოს დედა ქალაქში, თბილისში, მოასწავებს იმავე „ერთობას“ ამერ-იმერისას. ღმერთმა ინებოს, რომ

დაჟნის გვირგვინით შემკულის მვოსნის იდეალი „ერთობისა“ შეიქნას წინა-
მორბედი ჩვენი ერის გაერთიანებისა, ძმობისა და სიყვარულ ისა, და მთელმა
ერმაც განახორციელოს ეს ერთობა თავის ცხოვრებაში, სარწმუნოებაში და
აზროვნებაში თავისი ენით, სწავლა განათლებით, ხელოვნებით, მოქალაქო-
ბით, ბრძნული განწყობილობით და თანხმობით ერთმანეთთან, რადგან უბე-
დურებამ კაცს ჭკუა უნდა ასწავლოს...

**ალ. ცაგარელი**

# აკაკი და „მსოფლიო გოდების“ პოეზია

Ეკაკის მარგალიტივით აწყობილს ქმნილებას ერთი ჰანგი უფრო გაბედულად და თითქმის განუწყვეტლივ დამღერის, უკეთ კთქვათ დაჰკვნესის. ამ ჰანგს პესსიმისტური ელფერი სდევს, იგია „მსოფლიო გოდების“ მეთოდი, რომელიც გაისმის დასავლეთის და აღმოსავლეთის პოეტთა ნაწერებში. იმ პესსიმისტთა ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნიან მეფე სოლომონ-ებრაელი, ომარზაიამ სპარსელი, ბაირონ ინგლისელი, ლეოპარდი იტალიელი და სხვანი, უერთდება თანამედროვე ჩვენი პოეტი. ამ დიდებულს მგოსანს, უკმაყოფილო მწერალთა მსგავსად შესისხლხორცებული აქვს განსაკუთრებით სალირიკო პოეზია და თვით დრამა-ეპოსში იგი უცვლელად რჩება გრძნობის მოციქულად ⁄ მქადაგებლად. თვით სალირიკო დარგშიაც მისს ჩანგს აღღერებს ორგვარი სიუჟეტი: სატირა და ელეგია, ჭმუნვის და გაკილვის სიმები, ანუ, როგორც თითონ გვამცნებს „ცრემლში ნალესი ნაღველი და ნაღვლიანი მწუხარება“. იგი ხშირად ემდურის თავისს ხვედრს, უბედო თავს, მოსთქვამს მწარედ გულის მოდუნებას და ოცნების გაქარწყლებას. გაუქრება რა ნაზმანები „საამური ჩვენება“, თვალწინ გადეშლება „პირშავი სამშობლოს სურათი. აქ, ამ „სოფლად“ შეუწყნარებელი და შეურიგებელია: დაიარება მარტოკა — ობლად, დევნილი ყველასაგან საქმით და სიტყვით“. პოეტის გულში ჩასახული „იდეალი ვერსად მოინახა“. წინააღმდეგ, მისმა „ეკლით ნაჩხვლეტმა“ არსებამ განიცადა ბევრი ტანჯვა, ვაება: მეგობარმა

ულალატა, სატრფომ სხვაზე გასცვალა, ცხოვრებამ ტკბილი წყაროს მაგივრად მწარე სამსალა შეასვა და ასპარეზი იავარდის მაგივრად ჭინჭრით მოუფინა. მოწამებრივმა სვემ პოეტი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და გულამოსკვნილს ათქმევინა: წარსული აღარ მარგებს, მომავალი მენანებაო. ქვეყნიური ამაობის შეგნებამ გაუღვიძა სიკვდილისადმი მისწრაფება: „ღმერთსა ვევედრებ, რომ მკღირსოს საფლავში დაძინება, სჯობს სულ განქრეს კაცი, რადგან მტვერია“. ამაობათა ამაოება და ყოველივე ამაო, ამბობს მეფე სოლომონი. პესსიმისტი ლეოპარდი ამასვე განიმეორებს და იტყვის: მე შევნატრი მიცვალებულთ და მხოლოდ მათთან მსურს ხვედრის გაცვლაო. ამათ ბანს აძლევს ჩვენი ხოვანი პოეტი და დასკვნის გამოცდილი და დაკვირვებული გონების ძალით: „სიცოცხლე არის მონება და სიკვდილი განსვენებაო“. ამ გვარად, დიდებული ქართველთა მგოსანი წარმომადგენელია იმ სალიტერატურო მიმართულებისა, რომელსაც ეწოდება „მსოფლიო გოდების“ პოეზია.

**ა. ხახანაშვილი**



*
* *

აქ მთანი მყინვარ-იალბუზისა
ცამდე ასულნი, მიუწდომელნი,
აქ ველნი რიონ-ალაზანისა,
სულის და გულის დამატკბობელნი;
იქ ზღვა, მრისხანე, მღელვარ-მშფოთავი,
და საშინელი მისი ღრიალი,
აქ-კი ბულბული, ნაზად მსტვინავი,
და ნაკადულის ტკბილი ჩხრიალი!
აი ბუნება ჩვენის ქვეყნისა,
როგორც საოთხე, აყვავებული,
და ჰანგიც შენის პოეზიისა,
მისებრ, მშვენიერ და დიდებული!..

**დუტუ მეგრელი.**

* * *

Არ მომკვდარა, არც მოკვდება,
ვინც შობს და ზრდის შენებრ შვილსა,
მას ეძინა, დღეს იღვიძებს,
ფხიზლდება და სტოვებს ძილსა!
ყურში ჩასწვდა შენი სიტყვა,
მისთვის იყო მეტათ მწარი,
ნატრობდი და აგისრულდა:
გაღვიძებას მოესწარი!
მოგილოცავ, ამაგდარო!
რომ მან იწყო აწ ადგომა,
უნაყოფო აღარ დარჩა
შენი ღვაწლი, შენი შრომა!
ემაგ შრომას შეალიე
საუკუნე ნახევარი,
და ბნელაში მოძმეთა გზას
ანათებდი, ვით ლამპარი.
შენ პირადი სარგებლობა
იმ თავითვე უარყავი,
სხვის საწამლოთ არა გშურდა
არც შრომა და არც თვის თავის!
გვერდში უდექ ჩაგრულ მოძმეთ,
მათ ჭირს შენათ ისახავდი
და შენს ფიცსა პატიოსანს,
პატიოსნათ ინახავდი!
სხვებს რომ თვალზედ ცრემლს აშრობდი,
მისთვის ბევრი შესვი მწარე,
მაგრამ შენს გზას არ უმტყუნე

და გვერდი არ აუარე!..
ვერ დაგღალა მუდამ ბრძოლამ,
კელავ მხნე ხარ და კვალად შრომობ
და მხცოვანი, სპეტაკ წვერა
ყმაწვილებთან ერთად ომობ!!..
დღეს შენთან ვართ ჩვენ სულყველა,
შენგან ამაგდადებული
და შენდამი სიყვარულით
ტკბილად გვიძგერს ყველას გული!
ყოველ მხრიდგან მოგიგზავნით
სიყვარულით სავსე სალამს
და თაყვანს ვსცემთ მოწიწებით
შენს ქნარსა და შენს მკვეთრ კალამს!
ყველას გვინდა აგიყვანოთ
და გატაროთ ხელით ნაზათ,
გადგიშალოთ წმინდა ფეხთ ქვეშ
ჩვენი გული ფიანდაზათ.
შენზედ ფიქრობს დღეს ყოველგან
შენი მოძმე, შენი ერი
და ცდილობს, რომ პატივი გცეს
შენი ღვაწლის შესაფერი!..

**გრ. ცენტერაძე**

* * *

Ითა შეთოვლილა, ბარს ნისლი აწევს,
ქარი სისინებს, ქარი ღრიალებს,
ყორანთა გუნდი ტრიალ მინდორში
სამშობლოს გმირებს თავს დასტრიალებს!
მტლათ დადებულან... სპეტაკი თოვლი
იმათ მკერდიდამ სისხლს შეიღებავს,
ცეცხლს გადაუწვამს დაბა, სოფელი,
ნაოხარ კერას ძაღლი უყეფავს!
აქ მიჩხარუნებს რკინის ბორკილი,
იქ შავი კუბო მიაქვ სიმშილსა,
და ერის ცრემლზე მტერი ვერაგი
გამარჯვებული უკრავს საყვირსა,

—

მაგრამ ჩუ! მღერის ჩანგი მგოსნისა,
გულში იმედი შემოაპარა,
შავ ზღვამ კასპიის ზღვას ჩაახლართა
აღქაფებული ტალღათ კამარა!
თრთიან სიმები, კავკასიის მთაც
ღვართქაფს მოისვრის, ბობოქრობს, გმინავს,
კვლავ ბრძოლის ველზე ხელში უჭირავს
თავისუფლების დროშა ამირანს!
აი, მგოსანო, ორმოცდა ათ წელს
სამშობლოსათვის შენი ამაგი
გვწამს: ერის გულზე, თავისუფალზე
აღიმართება ეგ შენი ჩანგი!

**ი. ევდოშვილი**

## აკაკი წერეთელი შოთასა თხოვს:

ასწავლე საიდუმლო ჟღერისა, რათა „მგოსანი ვიქნე ერისაო“. მართლაც, აკაკიმ ზედ-მიწევნით შეასრულა ეს წადილი: იგი მისწვდა ჟღერის საიდუმლოებას და მით შეიქმნა მგოსანი ერისა. აკაკის ლექსი ყველასათვის, ვინც უნდა იყოს იგი განათლებული, გინდ სრულიად უბრალოც - ადვილი გასაგებია, იგი ყველას სულში ჩასაწდომი და ამაძგერებელია. აკაკი დიადი და შეუდარებელი ხელოვანია ლექსთა მარგალიტის მძივებით ჩამოსხმაში. მისი ლექსი სუბუქი და ნარნარია, ადვილ-გასაგები და მკვირცხლი. ამ ხელოვნებით აკაკიმ ქართული ენა გააფაქიზა, ნარნარ ჰყო სასმენათ და გაამდიდრა, გაამრავალ-ფეროვანა ნამდვილ ქართულ სიტყვათა აგებულებით, მოკაზმულობით. ამ თვისებისა გამო კი ქართული ენა მისაწდომი და გასაგები შეიქნა მთელ ხალხისათვის: ეს ენა გაეროვნდა, ე ი. ქართველ ხალხის ყველა წრისა და მდგომარეობის კაცისათვის ადვილათ გასაგები და სასიამოვნოთ სასმენი შეიქნა. ამ მხრით აკაკიმ უკვე მთელი სკოლა შექმნა და სამუდამოთ განდევნა მძიმე და უშნოთ აწყობილ ლექსთა თხზვა. დღეს მგოსნობას ვეღარავინ დაიჩემებს ისე, თუ რომ მისი ლექსი გარეგანი ფორმით აკაკისებურათ არ არის აწყობილი.

ასე ხელოვნურათ აწყობილ ლექსს აკაკიმ შინაარსი საეროვნო მისცა. აკაკის ლირიკა თავიდან ბოლომდე ერთი გაუთავებელი მოთქმაა, „საერო კვნესით“ ავსილი. აკაკის ჩონგური მუდამ საერო კვნესით ჟღერს და ეს საერო კვნესა კი სრულებით ადვილათ, ძალ-დაუტანებლათ ვრცელდება ხალხში ამ ენის წყალობით. საერო მისწრაფებათ ასე ვერ გაავრცელებდა ხალხში რამდენიმე ასი პროპაგანდისტიც კი, რადგან აკაკის ჩონგურის „კლინ-მანჭი ხმა-ტკბილის“ სმენა ხალხს განუწყვეტლივ ენატრება და ამ ენას იგი ეტანება; ამ ჩონგურის „სიმი ბულბულის ენაა“. ფრთები კი „არწივის ასხია“

და ამიტომ დიაღაც შეშვენის აღმაფრენა. ეს აღმაფრენა კი არის დიადი „საერო კვნესა,“ რომლით მგოსანი მარად-გულ-მოკლულია. რა-ღა გასაკვირველია, რომ ამ სიმაღლემდე ასული აკაკის ჩონგური პირდაპირია და მართლის მქადაგებელი, ეს ჩონგური სიმრუდით სიმთ არ აჟღერებს და არც ვისმე მიეფერება, რადგან ეს ჩონგური სრულ პასუხის მგებლობას იღებს მთელი ხალხის, მთელი ერის წინაშე. ამიტომ ეს ჩონგური სრულ უშიშრობით და მიუფერებლობით აშკარათ იტყვის, „აღარ ვნატრობ აღარასა, რომ სამშობლოს მტრის სისხლითა ვიღებავდე ჭაღარასაო“. ეს პირდაპირობა და მიუფერებლობა, ეს სიმართლის გულ-ახდილათ თქმა კი ხომ ყოველ დიდ-ბუნებოვანი ადამიანისა და დიადი მგოსნის ნიშნობრივი თვისებაა. აკაკიც სწორეთ ასეთია.

**ი. ფანცხავა**

ეთრი სუმბული, ნორჩად აღზრდილი,
წყალში აჩრდილსა ეალერსება;
ნელი ნიავი მას ოდნავ არხევს,
სურნელი უხვად ველს ეფინება!

—

შენც სუმბული ხარ, დიდო მგოსანო,
ერის გულს ეტრფი, უღვიძებ ფიქრებს;
ციური ხმებით უტკბობ სმენასა,
როს თრთოლვით აჟღერ ჩანგის ნაზ სიმებს!..

—

ხან კი ტალღა ხარ ნელად მქუხარე...
ჰშფოთავს და ჰღელავს ამაყი სული;
გმირებს უყივის, „სკივთს“ არ უდრკება,
სულ წინ მიჰფრინავს გამალებული!..

—

ხან აჩრდილი ხარ ივერიისა,
მუდამ თანა სდევ, არა ჰშორდები;
სიამაყითა მოიგონებენ
შენს დიდსა სახელს შვილიშვილები!...

**ბ. შანშიაშვილი**

# მყინვარი

Кავკასიის მაღალ მთებსა და თოვლ-ყინულიან მწვერვალთა შორის მედიდურად ამართულა მძლავრი მყინვარი.

ბუმბერაზი ბუმბერაზთ შორის, თმა-თეთრი — მწვანე თმიანთა, ქუდიანთა, უქუდოთ შორის, იგი ამაყი, მიუვალი და ძალოვანი, ვით დიდებული მამა დიდებული ოჯახისა, მკაცრის თვალით გასცქერის თვის ძმებს, შვილებს, შვილის-შვილებს და წარბ-შეკრული ეუბნება მათ: — იყავით დიდებულნი, იარსებეთ, არ მოისპოთ და არ გაჰქრეთ დედა-მიწაზე!

და ღირსეული ოჯახის წევრნიც, მისი დიდებით განდიდებულნი, ამაყად დასცქერიან ზეცის სივრციდან ადამიანის, ცხოველისა და მწირის მიერ გადაქელილსა და გადალახულ ჭალებსა და ველებს, — არ გაქრებით, ვიარსებებთ; წვიმა და მეხი ვერას დაგვაკლებს, ვერარას გვიზავს ადამიანიც: ვერც წაგვიღებს, ვერც გადაგვყლაპავს! — უპასუხებენ შვილნი მშობელსა და შესცქერიან ოჯახის ბურჯს კრძალვით, რიდითა, სიამაყითა.

და სდგანან მაგრად გოლიათები, ხოლო მათ შორის მათი მეფე მძლავრი მყინვარი.

სდგანან და მაგრად უკიდიათ ფეხი მიწაზე, ხოლო თავები მიუბჯენიათ ცის კიდურისთვის და აქაც და იქაც ღმერთნი არიან — თვით მყრობელნი, ხელ-შეუხებელნი, კანონ-გარეშე —.

რა არის მათთვის „ბუნების მეფე“ — ადამიანი!?!

მყრალი მკბენარი სპილოს სხეულზე!

რას დააკლებს მათ ცხოველი, მწირი?!

რას დააკლებს შვილი დედას ძუძუს მოწოვით?.

რას მოუტანს მათ წვიმა, ქარი, ჭექა-ქუხილი?!

მხოლოდ წუთიერ უსიამოვნობას, წუთის შემდეგ კი სიამოვნებას და სიტკბოებას!

აგერ! შეხედეთ! მთის ფერდობებზე ხან მიცოცავს და ხან მიბობღავს საცოდავად ადამიანი, ოფლი ასკდება, მუხლთ ეკეცება, ხვნეშის და კვნესის, საქმეს კი მაინც არ ეშვება: უნდა მეფობა, უნდა დაპყრობა, როგორც დაიპყრო და დაიმონავა მთელი ბუნება. სად? სად მიხვალ, ქვეყნის მპყრობელო? აგერ! შეჩერდა, სული მოითქვა, მთის მწვერვალებს თვალი მოავლო და.... ოჰ, განგებავ! „ბუნების მეფე“ ნამდვილ მეფესთან მონად იქცა, მთლად მოიკუნტა და შერცხვენილი, შეშინებული საცოდავად უკან გაიქცევა....

— შორს ჩვენგან, შორს! — მისძახიან მას მწვერვალები — და შორს წაიღე წყეული შენი ბარი და ცული!

მაგრამ ეს რაა? ცა მოიღუშა, ცა მოიღრუბლა, კიდით კიდემდე შეკრთა, შეირყა, შავი ღრუბელი შეკრბა, შესქელდა, ძირს ჩამოწვა და არე-მარე ჩამოაბნელა. ჭექა-ქუხილი ორად ისმის, ზეცასა და ძირს, ნაკლების ხმითა, მაგრამ ერისხანედ ბანს აძლევენ მთის ხეობანი, წვიმა და ქარი დანავარდობენ ტყეს და ველში, ელვა სჭრის ღრუბლებს და იკლაკნება მაცდურ გველივით.

ჯოჯოხეთია! რომელი რომელს სპობს, ვინ ვის ამარცხებს, ვინ სუსტია, ვინ ძალოვანი, ვინ გაიმარჯვებს არავინ იცის და.... და რა მერე? გავიდა წუთი, ქარს ღოჯი მოსტყდა, წვიმა შეთხელდა, ელვა გაჰქრა, შავი ღრუბელი მიმოიფანტა და გზა დაუთმო მზეს მაცოცხლებელს, მზესა მხიარულს.

და მზის სხივებს ქვეშ უფრო ნათლად, მეტის დიდებით კვლავ აღიმართნენ კავკასის მთები, ხოლო მათ შორის კვლავ ძალოვანი კვლავ უკვდავი მამა-მყინვარი.

— ვაშა, ჩვენს მამას! — მხიარულად სალამს აძლევენ მორჩილნი შვილნი. — ვაშა ჩვენს ძალას, ვაშა ოჯახსა!

მაგრამ მყინვარი, ღრმად მგრძნობიარე და ღრმად მოაზრე, მხიარულს სალამს ყურს არ ათხოვებს და იმავე თვალით, იმავე წარბით კვლავ ეუბნება თვის შვილებს: — იყავით მარჯვეთ! ვერა მტერი ჩვენ ვერას დაგვაკლებს!

**სვ. ყიფიანი**

ამშობლოს მთელმა მიდამომ,
მთა-გორამ, ბორცვმა ტყიანმა,
ტურფა წალკოტში ნაზარდმა
ზამბახმა, ვარდმა, იამა —
ლაჟვარდ ციდანა ციმციმით
ვარსკვლავმა, მზემ და მთვარემა,
ძირს დედამიწამ, გარშემო
ჭალებმა, ხევ-მდინარემა —
მათ საამაყო ძვირფას შვილს
თავ-დახრით გიძღვნა სალამი,
ერთ-ხმათ ადიდეს ოთხ კუთხივ
შენი უკვდავი კალამი.

**დარია**

# სინათლისაკენ

—:—

მერთო, რა საშინელებაა! განწირულებით შესძახა ახალგაზდა ქალმა და მიაშტერა თვალები იქით, საიდგანაც მოსჩანდა ბნელში გახვეული სოფელი. სოფლელნი შესჩიოდნენ წყვდიადს, შერიგებოდნენ მისს განმანადგურებელ ძალას, დამონებოდნენ. ქალს გული უკვნესოდა, უნდოდა გასცლოდა სიბნელეს, მაგრამ არ იცოდა საით წასულიყო.

— ვინ გამიყვანს ამ წყვდიადიდან? სად არის ხსნა? საით წავიდე? შესძახა კვლავ ქალმა.

— იქით, იქით! ჩასძახა ამ დროს ყურში რაღაც იდუმალმა ხმამ. ქალი დაემორჩილა უხილავ ძალას და აჩქარებით გასწია დრო. და დრო შედგებოდა, შეშინებული იხედებოდა სოფლისკენ, საიდანაც მოისმოდა ყვირილ-კიჟინი მოქეიფეთა, მშიერთა წყევა-კრულვა, კვნესა-ტირილი. ძალით სიცოცხლეს გამოსალმებულთა სისხლის წვეთები წითელ ზოლებათ ციალებდნენ სიბნელეში.

— საშინელებაა!.. კვნესოდა ქალი, სახეზე ხელები მიეფარებინა და მირბოდა.

ამ დროს მოისმა საამო ჟღერა. ქალი შეჩერდა, ხელები ძირს დაუშვა; სმენამ არ უღალატა; თვალს უჩვეულო საგანი წარმოუდგა: ცას ბინდი გადაჰყროდა, ლურჯათ კაშკაშებდა; მაღლიდგან ძირს სვეტად ეშვებოდა თვალის წარმტაცი შუქი და შარავანდედათ თავს ადგებოდა დინჯათ მომავალ ღვთიურის სახის მოხუცს, რომელსაც ხელში ჩანგი ეჭირა. მოხუცის ცეცხლის მფრქვევი თვალები პირდაპირ იყურებოდნენ, ხელის თითები არ შორდებოდნენ სიმებს, რომელნიც სტიროდნენ, კვნესოდნენ.. მოხუცს თვა-

ლებში ცრემლი უბრწყინავდა, ტუჩებზე ნაღვლიანი ღიმილი უკრთოდა, ციურ შუქი თანასდევდა, ფეხქვეშ ეფინებოდა, გზას უნათებდა.

— აი, რას ვეძებდი!.. შესძახა ქალმა და ორივე ხელები გააწვდინა სინათლისაკენ.

მოხუცს შეესმა ქალის ხმა და ღიმილით მოხედა. ქალის სახეზე ამოიკითხა ვედრება... აჟღერდა ჩანგი... ქალის გონება წუთს მოშორდა დედამიწას და ცის სივრცეში იწყო ფრენა.

— რა კარგია!.. რა ბედნიერებაა!.. აღტაცებით ჩურჩულებდა ქალი... მოხუცმა წასვლა დაუპირა ..

— ღვთის გულისთვის ნუ დამტოვებ აქ! მეც თან წამიყვანე!.. შეევედრა ქალი. მოხუცმა თანაგრძნობით გაუღიმა.

— დიდი ხანია ვეძებ სინათლეს, მაგრამ ჩემ თვალებს არ ღირსებია მისი ხილვა, ეხლა კი ვნახე და, სანამ ცოცხალი ვარ, ვერ მოვშორდები! ამბობდა ქალი.

— მოჰყე მას! უთხრა მოხუცმა.

— გზას რომ ავცდე?

— უსმინე ამ ჩანგის სიმებს და არ ასცდები! სთქვა მოხუცმა და წავიდა კვალად, აჟღერდა ჩანგი დ- თან გაიყოლა ქალიც ..

**ანასტასია ერისთავ-ხოშტარია**

ველოს სიმწვანე მოვპარე,
სინაზე—ტურფა იასა,
სურნელოვნება, ელფერი —
კოკობ ვარდს, გულ-მკერდ ღიასა;

ციმციმი — მალხაზ დილის ცვარს,
სიმშვენიერე — გაზაფხულს,
და ბრწყინვალება — სხივ მფენ მზეს,
ლაჟვარდ სივრცეში გაბადრულს;

კაშკაში — ცისკარ-განთიადს,
ფერ-მკრთალი შუქი — მთვარესა,
და სილამაზე — ათასფრათ
მოქარგულ არე-მარესა!

მიმზიდველობა —ანდამატს,
ტკბილი ხმა,—ლამაზ ბულბულსა,
და სიხალისე — ნაკადულს,
კიდე-ნაპირებ შემკულსა...

მთელი სიტურფე ბუნების
შევკარი თაიგულათა
და შენ მოგიძღვენ, მგოსანო,
ეს შენ გეკუთვნის სრულათა!

**ვ. რუხაძე**

ღეს დღეობა აქვსთ ქართველებს,
ფეხზე დგას მთელი ერია,
გარს გახვევიან შვილები—,
შუაში სდგევხარ ბერია!

პატივსა გცემენ დიდ მგოსანს
რითაც უწვდებათ ხელია,
ნაღვაწი დაგფასებია,
მითი ხარ ბედნიერია!

**შ. ნავთლუღელი**

# ქართულ პოეზიის იალბუზი

ნარმოიდგინე, მკითხველო, მაღალის მთის წიაღიდან გამოვარდნილი ანკარა წყარო, რომელიც მუზიკალური შხუილით ძირს ჩადის და აჩენს ვეებერთელა მორევს უწმინდესის წყლისას, ეს ბროლისებური მორევი შეუდარებელი სარკეა ბუნებისა. მასში მშვენივრად იხატება მისი ნაპირების მცენარეულობა, მასში კამკამებს ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მასვე თავისს სარკედ ხმარობენ ღრუბელნი ცისანი. ამავე დროს ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადად სჩანს ყველაფერი, რომ თვითეულს კენჭს ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სიწმინდეს და სიცხადეს, მოტყუებაში შეჰყვეჯარ: შენ ეს მორევი თხელი გგონია. მაგრამ აი ჩაუშვი შიგ ვეებერთელა ჭოლოკი, და მან ძირის ნახევრამდინაც ვერ უწია. მორევი მეტად ღრმა აღმოჩნდა.

სწორედ ამისთანა თვისებისაა ის პოეტური და ლიტერატურული ზღვა, რომელიც შექმნა აკაკის მაღალმა ნიჭმა. ეს ზღვა თხელი გეჩვენება, რად? იმიტომ, რომ საარაკო კაშკაში გააქვს და შიგ ყველაფერს მეტად ადვილად და ცხადად ჰხედავ. ჰხედავ არა მარტო შენ, დიდი, არამედ რვა-ცხრა წლის შეგნებული ბავშვიც, და ეს უფრო ატყუებს. მაგრამ აი მოიკრიბე გონება, ღრმად ჩაკვირდი აკაკის თქმულებათა შინაარს, შეუდარებელს ფორმას, და აღტაცებაში ბოგიყვანა მისმა საოცარმა კაზმულობამ, მისთა აზრთა და გრძნობათა სიღრმემ, მისმა მისწრაფებათა სიმაღლემ. განსვენებულმა დავით ერისთავმა, „სამშობლოს ავტორმა“ ერთხელ მითხრა: „პეტერბურგში ყოფნის დროს Вѣстникъ Европы-ს რედაქციაში წავიკითხე რუსული თარგმანი თორნიკე ერისთავისა და ყველა მსმენელი გააოცა მთელის პოემის მაღალ-კაზმულობამაო... როცა გაზეთს „**კავკაზში**“ დაიბეჭდა ფელეტონად თარგმანი პატარა ქმნილებისა: გვირგვინი დავით მეფისა (Входъ царя Да-

вида), საუკეთესო რუსი ინტელიგენტები აღტაცებაში იყვნენ და ამბობდნენ: Какая рѣдкая художественность, какая высота мыслей, какая глубина тонкихъ чувствъ (რა იშვიათი კაზმულობაა, რამ სიმაღლე აზრებია, რა ღრმა და წმინდა გრძნობებია) ამ სამი იშვიათის ღირსების ბეჭედი აზის აკაკის ყველა ქმნილებასა. ხოლო ამ სამს ღირსებას, ერთად შეზავებულს და ერთს დონეზე დაყენებულს, ვპოვებთ მხოლოდ დიდს (ტალანტებებში), მსოფლიო გენიოსებში. მაშასადამე...

თავის საუკეთესო გმირს მეფე ერეკლეს კახელებმა დაარქვეს მეტ სახელად: პატარა კახი. რად? იმიტომ, რომ მისს მაღალს ფსიხიკასა და ფიზიკაში, როგორც ფოკუსში, განხორციელებული იყო ყოველი ღირსება და თვისება კახელებისა. აკაკის მაღალი ბუნება იტევს თავისს წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოისას, არამედ მთელს საქართველოს, აკაკი პატარა საქართველოა. მაგრამ ამ დიდებულს სახელს მარტო მას ვერ დაუსაკუთრებთ, რადგანაც, თვით აკაკის სასიხარულოდ და ჩვენდა სანუგეშოდ, პატარა საქართველონი, სხვანიც გვყავს: რუსთველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ვაჟა-ფშაველა, მსოფლის ტალანტები, გენიოსები ასეთს ძლიერს და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ მკითხველებზე, ისე ხიბლამდნენ მათ, რომ ბევრი ხდებოდა მათი მიმბაძველი, მათი მიმდევარი. აკაკიმ შექმნა თავისი საოცარი გავლენით მთელი სკოლა პოეტებისა. თითქოს ყველა ჩვენებურს მეორე ხარისხის პოეტს აზის ბეჭედი აკაკისა, ესენი ყველანი პატარა აკაკები არიან. ასეთი მოხიბლა შეუძლიან მხოლოდ გენიალურს პოეტურს ნიჭსა, რომელსაც არ ემორჩილებიან მხოლოდ იმისთანა უთავისებურესი მგოსნები, როგორც ვაჟა-ფშაველა.

ყველა მსოფლიო გენიოსები უმხურვალესი მამული-შვილები იყვნენ. მათ სხვებზე მეტად, ძლიერად უყვარდათ სამშობლო, როგორც საუკეთესო შვილს მეტობით უყვარს თავისი ღირსეული დედ-მამა. აკაკი განხორციელებული მამულიშვილობაა. მას საქართველო ისეთივე გაგიჟებით უყვარს,

როგორც ტარიელს უყვარდა ნესტანდარეჯანი. რასაც უნდა სწერდეს აკაკი, ლექსით თუ პროზით, ყველაში გამოსჭვივის აპრიალებული სიყვარული სატრფო სამშობლოსი. ამ მხრივ აკაკიზე ზედ გამოჭრილია გ. ორბელიანის ლექსი: „მისი ფიქრი, მისი სიტყვა თუ არ შენდა არსად იყოს, შენთან მისი დღე ბრწყინვალებდეს, უშენოდ კი დაებნელოს“

ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას. მსოფლიო ტალანტები, გენიოსები, დიდი პატრიოტები, იმავე დროს დიდი მოყვარენიც იყვნენ კაცობრიობისა, ასეთია აკაკიც. ამ ფართო კაცთ მოყვარეობით აიხსნება ის ფაქტი, რომ აკაკის დიდი სახელი აქვს არა მარტო ქართველებში, არამედ სხვა ხალხებშიაც... ნელ-თბილი კოსმოპოლიტობა ჰბადავს ნელ-თბილს მამულისშვილობასა, და ეს ნელ-თბილობა, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, სრულიად უნაყოფოა, როგორც სამშობლოსთვის, ისე კაცობრიობისათვის, აი რისათვის აკაკი მტერია ამ ნელ-თბილობისა და ისე აფასებს და მაღლა აყენებს გულ-წრფელს და მხურვალე მამული-შვილობას ყველა მოღვაწეში. როგორც დიდს გულს მხოლოდ დიდივე გული იცნობს სავსებით და ყველაზე მეტად თანაუგრძნობს და უყვარს, ისე დიდის ნიჭის ღირსება სრულიად ესმის მარტო დიდს ნიჭსა, მარტო ის გრძნობს განსაკუთრებულს პატიოსნებას, მარტო იგი აფასებს ღირსეულად. ასეთს იდეურის ურთიერთობის მაგალითს ვპოვებთ, მაგალითად, გიოტესა და შილლერის შორის. მაშინ როდესაც ბევრნი შილლერს მაღლა აყენებდნენ გიოტეზე თვითონ შილლერი სრული გულწრფელობით უპირატესობას აძლევდა თავისს მეგობარსა. აკაკის და ილიას შორის პირადს მეგობრობას ადგილი არა ჰქონია; მაგრამ იდეური ურთიერთობა და პატივისცემა კი დიდი იყო. ამ მხრივ აკაკი შილლერს მოგაგონებთ. წაიკითხეთ თელავში ნათქვამი სიტყვა აკაკისა, კამათი მისი ილიასთან ვეფხვის ტყაოსნის შესახებ, ბოლოს მისი სიტყვა ილიას დაკრძალვის დროსა და თქვენ დიდს სიამოვნებას იგრძნობთ, როდესაც დარწმუნდებით, რომ აკაკი უპირატესობას აძლევს

ილიასა. და ეს მომხიბლავს შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენს ჩამომავლობაზე. როდესაც გაქრება ჭორები აკაკის კერძოდ ნაოქვამის შესახებ ილიაზე... სწორედ ამის გამო უნდა სწყენოდა აკაკის ფრაზა ბ-ნი ვ. წერეთლისა: „აკაკი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ლიტერატურაც არ იქმნებოდაო“. რითაც მიწასთან ასწორებდა ყველა სხვა მგოსნებს რუსთაველიდან დაწყებული ილიამდე.

მაღალ-ნიჭიერნი გვამნი ნამდვილი დემოკრატები იყვნენ და არიან. როგორც მაღალი პსიხიურის აგებულობის პატრონნი, იგინი სხვებზე მეტად გრძნობდნენ იმ სოციალურს უსამართლობას და უთანასწორობას, რომლის წყალობით, ზემო კლასები ყარან სიმდიდრისაგან, მშრომელი ხალხი კი ყარს სიღატაკისაგან. გრძნობდნენ და მედგრად ქადაგობდნენ ამ უსამართლობის მოსპობას, გათანასწორებას, ძმობას, ერთობას. ასეთივე ქადაგება ძლიერად გაისმის აკაკის ლექსებში და პროზაში. მხოლოდ იგი კლასთა ბრძოლას თავისს სამშობლოში არ ამწვავებს, რადგანაც კარგად ჰხედავს, რომ ჩვენში სიმდიდრისაგან ახლა აღარავინა ჰყარს და ჩვენებურს კლასს სიღარიბის ნატისუსალი ძსდის ყოვლად უკუღმართ გარემოებათა მეოხებით. აკაკის იდეალია: აღორძინება მთელის ჩვენის ხალხისა მისი ქართველური თავისებურებითურთ. კუჭ - მაძღარი ერთფეროვანი ნახირის შექმნა კი ეწინააღმდეგება მთელს მის ბუნებასა. ხალხი აკაკის გულ-წრფელს დემოკრატობას კარგად გრძნობს და ამიტომ უფრო მხურვალედ უყვარს იგი, ვიდრე არისტოკრატიას, თუმცა აკაკი ჩამომავლობით არისტოკრატია.

ზოგს მსოფლიო პოეტს აღმოჩენა მოუხდენია იმისთანა სფერაში, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს პოეზიასთან. გიოტემ, მაგალითად,ბოტ ანიკა გაამდიდრა იმისთანა აღმოჴენით, რომელიც გენიალურს ბოტანიკოსებსაც კი აზრად არ მოსვლიათ. ჩვენი აკაკის ნამოქმედარშიაც მოიპოვება მსგავსი პოეტი. ჭიათურის შავს ქვას არაფრად აგდებდნენ არც ჩვენებურები და არც უცხოელნი, თვით სპეციალისტებს გეოლოგებს იგი მიაჩნდათ უბრალო

და უსარგებლო ქვად. მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა მგოსანმა სხვა თვალით შეხედა, ლითონად დასახა ეს ქვა და ამცნო ქვეყანასა, და ეს აღმოჩენა გახდა წყაროდ ხალხის გამდიდრებისა.

თვით ნაკლულევანებითაც აკაკი მსოფლიო ტალანტებს გავს. ზოგნი მათგანნი მოგაგონებდნენ სახარების ჩიტებს, რომელნიც ხვალინდელს დღეზე სრულიადაც არ ზრუნავდნენ: ფული მათ ხელში არ მიეცემოდათ, რადგანაც ბზესავით აბნევდნენ, და დღეს ფულიანნი, ხვალ უკაპეიკოდ და უსახსროდ რჩებოდნენ. ასეთია აკაკიც გატაცებული მაღალი იდეებით, იგი ყურადღებას სრულიად არ აქცევს ცოდვილის ცხოვრების პირობებსა და მუდამ გასაჭირშია. სხვა ხალხის გენიოსებს—ეს ძვირად არ უჯდებოდათ, რადგანაც მათნი სამშობლონი შემძლებელნი ქვეყნები იყვნენ. საქართველო კი ამ ჟამად გაღატაკებულია, და ამის გამო სახარების ჩიტების მსგავსებას შეიძლება მეტად დიდი უბედურება მოჰყვეს. შეიძლება უდროოდ დავკარგოთ ის, ვისიც მაღალი ნიჭი საარაკო დაუმჭკნარობას იჩენს, და ძალუძს გაამდიდროს ჩვენი ლიტერატურა მაღალ-ნიჭიერი ქმნილებებით თუნდა ას წლამდინ...

სამართალი და საზოგადო სიკეთე მოითხოვს ისიც ვთქვათ, რომ ზოგნი გენიოსები, უმაღლეს წერტილამდე ასულნი იდეათა სფერაში, ცხოვრებაშიც ნამდვილნი ბრძენნი იყვნენ და ყოვლად ღირსეული ღონისძიებით მეტ-ნაკლებობით უზრუნველად ჰყოფდნენ თავისს სიბერესა და დამოუკიდებლობასა. ასეთი იყო, მაგალითად, სოფოკლი, პირველი პოეტი ძველის უნიჭიერესის საბერძნეთისა, შექსპირი, დიდება და ამპარტავნება ინგლისისა, გიოტე, პირველი პოეტი გერმანიისა, და სხვანი. ჩვენში ამავე ტიპს ეკუთვნოდა ძველს საქართველოში რუსთაველი, ახალში—ილია, ერთიც და უკანასკნელიც. ზოგი მწერალი რუსებს დაბალ რასად სთვლის და დასამტკიცებლად მოჰყავს ის ფაქტი, რომ უნიჭიერესის რუსების ძარღვებში უცხოელი სისხლი სდიოდაო და სდისო. პუშკინში და ჟუკოვსკიში სპარბობდა არაბული სისხლიო, ლერმონტოვისაში—ირლანდიურიო, ლევ ტოლსტოისაში — მონგოლურიო,

და სხვანი. აკაკის შესახებ ამას ვერავინ იტყვის: იგი მამითაც და დედითაც ნამდვილი ქართველია, და თავისი გენიალური ნიჭით მჭერმეტყველურად მოწმობს ჩვენის ერის ნიჭიერებასა.

ვინც აკაკის ქმნილებებს დაახლოებით გაიცნობს, ვინც შეიგნებს სრულიად მისი მაღალი ნიჭის ღირსებას, დააკვირდება მისს საოცრად მაღალს და განიერს შუბლს, რომელიც უდრის შექსპირის და გიოტეს შუბლს, იგი უსათუოდ იტყვის: აკაკი რომ ნორმალურს პირობებში და ნორმალურს სკოლაში აღზრდილიყო, იგი მსოფლიო გენიოსების რიგში საპატიო ადგილს დაიჭერდაო, როგორც დაიჭირა პატარა, მაგრამ დამოუკიდებელის ნორვეგიის შვილმა, იბსენმაო. თვით ჩვენს ნიჭიერს ერს რომ ღირსებოდა ნორმალური პირობები, თუნდ ფილიანდიის ავტონომია, მისი მდგომარეობა ახლა სრულიად სხვა იქნებოდა და აკაკიც კიდევ უფრო დიდებული მგოსანი შეიქმნებოდა, მაგრამ, საუბედუროდ, ის, რაც ჩვენმა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დამლევს სასურველ ნავსადგურად მიიჩნია, დახავსებული ჭაობი აღმოჩნდა, რომელშიაც ლამის ჩაიხჩოს. სწორედ ამ ჭაობის ატმოსფერამ დაუშალა აკაკის და მის ტოლს ჩვენებურს მგოსნებს მსოფლიო გენიოსებად გამხდარიყვნენ.... ჩვენ სრული იმედი გვაქს, რომ უსასიქადულესი მგოსნის ორმოცდა ათის წლის იუბილეის მთელი ქართველობა შავი ზღვიდან მოკიდებული დაღესტნამდე აღტაცებით გადაიხდის, და ამ დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო დიდნი, არამედ ნორჩი ქართველებიც, რომელთათვის სასიქადულო იუბილარმა შექმნა ბევრად მეტი საუცხოო ლექსები და მოთხრობები, ვიდრე სხვა ჩვენებურმა მგოსნებმა....

**იაკობ გოგებაშვილი**

# მწარე მოგონება

—:—

ჩემს გულში 26 წელიწადი ვინახავდი და არ გამიმხელია ის საზარელი ამბავი, რომლის მოწამეც მე თითონ ვიყავი და, რომლის მოგონებაც დღესაც ტანში ჟრუანტელსა მგვრის, მაგრამ ახლა კი, ამ დღესასწაულის დღეს, აღარ ძალმიძს ჩემი გულის ნადები მთელს ქართველ საზოგადოებას არ გაუზიარო

1882 წ. 25 ენკენისთვეს, დილის მატარებლით აკაკი იმერეთიდგან ჩამოვიდა ტფილისს და ჩამოხდა სასტუმრო „ევერიაში“, რომელიც მაშინ ჰქონდათ ძმებს ლევანსა და დავით ორეხალაშვილებს—ელისაბედისა და რიყის ქუჩის კუთხეში. აკაკიმ დაიკავა მე-4 ნომერი; მეც იმ ჟამად იქვე მეხუთე ნომერში ვიდექი, ჩემს გვერდით იდგნენ ჩემი ნათესავები ბარნაბა ნემსაძე და ვიქტორ ლეჟავა.

იმ ღამეს 12 საათამდე ჩვენ ყველანი, ძმების ორახელიშვილებითურთ (ორიც სხვა იყო, რომელთა გვარიც აღარ მაგონდება) აკაკისთან ვიყავით და ვსტკბებოდით მისის მოსწრებულის მჭერმეტყველურის საუბრით; შემდეგ გამოვეთხოვეთ და ჩვენს ოთახებში წავედით მოსასვენებლად.

მე წამოვწექ ახალუხის ამარა ჩემს ლოგინზე და განვაგრძე კითხვა ახლად მიღებულის—ხოზეს მარმოლის პოლიტიკურის რომანის კითხვა, რომელიც იბეჭდებოდა მაშინდელს ჟურნალ „ევერიაში“ ამ სათაურით: „ციხე შიგნიდან გატეხილი“ თარგ. ი. ბაქრაძისა.

ჩვენსავით დაჩაგრულ დამონებულ ერის თავ-გამოდებულმა და მედგარმა ბრძოლამ. სამშობლოს განთავისუფლებისათვის, რომელიც ხელოვნურად არის აწერილი ამ რომანში, ისე გამიტაცა, რომ ძილი დამიფრთხო.

საათის სამი გახდა. ყველას ეძინა. იქაურობა სამარისებური სიჩუმით იყო მოცული, მხოლოდ ორი ფარანი ოდნავ ანათებდა საერთო მოაჯირს.

უცებ რაღაც ფაჩუნი შემომესმა. ავსწიე თავი, დავუგდე ყური, მაგრამ ისევ სიწყნარე იყო. ორი წამის შემდეგ კიდევ შემომესმა ფაჩუნი, თითქო ვიღაცის ფეხის ხმა იყო; ვიფიქრე, ალბათ კატა თუ არის მეთქი, რადგანაც წინ კარი დაკეტილი იყო და მუდამ მეკარე იდგა, ეზოში კი არავითარ ადამიანს არ შეეძლო შემოსვლა, იმ რიგად იყო გარშემოკრული და ისევ მივდე თავი; მაგრამ მალე კვლავ შემომესმა ფეხის ხმა და შემდეგ კარის ჭრიალიც, წამოვხტი ზეზე, გავვარდი მოაჯირზე და უცებ თვალი მოვკარ, რომ აკაკის ოთახში ვიღაცა კაცი შეძვრა; ელვის სისწრაფით გავექანე და მეც აკაკის ოთახში შევვარდი.

ღია კარებში შემოჭრილ სინათლის შუქზე დავინახე აკაკის საწოლთან ავაზაკის ხელში აღმართული გაპრიალებული ბებუთი...

ის იყო უნდა ჩაეკრა გულში მშვიდათ მძინარე პოეტისათვის, რომ მივვარდი ავაზაკს, მარცხენა ხელი ვსტაცე საყელოში და უკან გადმოზნექილს ავაზაკს მარჯვენა მუშტი დავარტყი სახეში; უცებ ვსტაცე მარჯვენა მაჯაში და შევსძახე: „დააგდე ხანჯალი, თორემ გაგათავებ მეთქი“. ავაზაკმა ხელი უშვა იარაღს და აკაკის ლოგინის წინ წკრიალი მოიღო ბებუთმა.

მგოსანი შეკრთა...

მე იმ წამსვე გამოვათრიე გარეთ ავაზაკი, ხმაურობაზედ გამოვარდნენ გარეთ ნემსაძე, ლეჟავა, ძმები ოარახელაშვილები და სხვებიც.

ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა... თავი ვეღარ შევიმაგრეთ, ვეცით ავაზაკს და კინაღამ დავაღჩეთ... იგი უცებ გავათრიეთ მოსამსახურეების განაპირა ოთახში.

ავაზაკი ტირილით გვევედრებოდა:

— „შემიბრალეთ, ნუ მომკლავთ... მე სიმართლეს გეტყვით... ან წაიღეთ ეს ხუთი ათ თუმნიანი, რომელიც იმ კაცის მოსაკვლელად მომცეს... აი კიდევ ქამარი,—ყველაფერი წაიღეთ, მხოლოდ ნუ მომკლავთ... ნუ დამაღჩობთ“...

— ხმა, კრინტი, შე წუპაკო! შენა გსურს შენებრ ჩვენც ფულით შეგვისყიდო? არა, მაგ ფულს საიქიოს გაგატანთ, სთქვი ჩქარა ვინ მოგგზავნა? ვინ მოგისყიდა? რათა? რისთვის?!

— რას სჩადიხართ, მართლა არ მოკლათ ეგ კაცი!—შემოგვძახა კარებიდგან მწუხარე, აკანკალებულის ხმით.

ეს იყო აკაკი, რომელსაც ტანისამოსი გადაეცვა და შემოვიდა ჩვენთან.

აკაკი მთელი რიგი ახალგაზდათა თაობის აღმზრდელი იყო და მათ შორის ჩემიც, მთელი საქართველოს დაბალი ხალხის უსაყვარლესი და უძვირფასესი მგოსანი, მას შეეხაროდით ყოველგან და ყოველთვის, ის ჩვენთვის ღმერთი იყო...

აკაკის დანახვაზე ჩვენ შეეკრთით, სახტად დავრჩით, მისმა ფერშეცვლილმა სახემ ჩვენ ყველანი ჩაგვაფიქრა.

— თქვენ მიბრძანდით, ბატონო, თქვენს ოთახში, დამშვიდდით, მოისვენეთ, ამაზე ნუ სწუხართ, ამას ჩვენ მოუვლით!—ვუპასუხეთ ჩვენ.

— როგორ დავმშვიდდე ამისთანა მდგომარეობაში? გაანთავისუფლეთ თუ გიყვარდეთ!..

— როგორ ბატონო! თქვენი მკვლელი, ავაზაკი გაანთავისუფლოთ?— მაშინ ჩვენ თავი ცოცხალი რაღათ გვინდა?!

— გეუბნებით არ შეიძლება კაცის ცემა, კაცის წვალება და სიკვდილი მეთქი!. გთხოვთ, ახლავე, ჩემის თვალის წინ გაანთავისუფლოთ ეგ შემცდარი ადამიანი და გაუშვათ უვნებლათ.

— ბატონო! თქვენ უნდა მოეკალით ამ...

— დიახ! მე უნდა მოვეკალი, ხანჯალიც ჩემს საწოლთან გდია, მაგრამ მაინცა გთხოვთ უთუოდ გაანთავისუფლოთ და უვნებლად გაუშვათ; გთხოვთ ნუღარცა სცემთ და ნურც პოლიციას გადასცემთ. — გვითხრა აკაკიმ.

ავაზაკმა დაიჩოქა აკაკის წინ და ტირილით უთხრა:

— ბატონო! მე ხომ თქვენ არ გიცნობდი, თქვენი თავი მხოლოდ ვაგზალში მაჩვენეს, თქვენთან ხომ თავის ღღეში არავითარი საქმე არა მქონია, ღმერთმა ჰკითხოს იმათ, რომელთაც შემაცდინეს და აი ამ ხუთი ათ თუმნიანით ჭკუა და ნამუსი დამაკარგვინეს!.. გთხოვთ, გეეედრებით...

— ჩაიდე ეგ ფული და წადი შენთვის, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს.— უთხრა წყნარად მგოსანმა.

ავაზაკი ამ სიტყვების შემდეგ მთლად დაიბნა: მოეხვია მუხლზედ აკაკის და ქვითინი მორთო.

— ნუ სტირი, ადექი, წადი მშვიდობით!—უთხრა ლმობიერათ მგოსანმა.

ავაზაკი განაგრძობდა ტირილს და ზლუქუნით ამბობდა:

— ვაჰ, მე ამისთანა კაცისთვის უნდა ხელი შემეხო .. ეს უნდა მოშეკლა... მე სწორეთ შეშლილი, გაგიჟებული ვიყავი... მე ახლა კი მართლა სიკვდილის ღირსი ვარ! მომკალით ბარემ, უნამუსო ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნიაო,—მოსთქვამდა ახლა ავაზაკი.

აბა ჩვენ აკაკის თხოვნასა და სურვილს როგორ გადაუდგებოდით!

ავაზაკს ხელი შეუშვით, მაგრამ მტკიცედ მოვსთხოვეთ სრული სიმართლე აღეარებინა ჩვენს წინაშე.

— მე ს... ვ—ი ვარ, ვინც მე, აი იმ ბატონის მოსაკლავად გამომგზავნეს, იმათგანს არცერთს არ ვიცნობ, არც მათი ბინადრობა ვიცი და არც მათი სახელი და გვარი; მე აქ ღღისით მოვედი, წინაკარიდგან შემოვედი ჩუმად და ჩავიპარე ეზოში; იქ დახურულ ღილიჟანში ჩავწექი და იქიდგან უთვალთვალებდი, რომელ ოთახში იქნებოდა ის ბატონი.

ავაზაკი შუა ტანისაზე ცოტა მაღალი იყო, ჩასხმული მხარ-ბეჭიანი, წაბლის ფერ წვერ-ულვაშიანი, ხნოვანობით ოც და ათის წლისა თუ იქნებოდა; გარეგნობით ავლაბრის კინტოსა ჰგავდა, ყარაჩოღული ტანისამოსი ეცვა: ბუხრის ქუდი, გულ გადახვეული მოკლე ახალუხი, პრტყელი, ერთი-

ანი ვერცხლის დიდი ქამარი, მინაოქებული ჯუბნა ჩოხა, განიერი შარვალი, ჩაბალახი და ყელ ჩაკეცილი ჩუსტები.

აკაკის მოთხოვნის თანახმად ავაზაკს გატეხილი თავი და თვალ-წარბი შევუხვიეთ, მერე თითონ მგოსნის თანდასწრებით გაუღეთ წინაკარი და გაუშვით.

კარში გასვლის დროს ავაზაკმა დაიფიცა:

— „დედა შემერთოს ცოლად თუ დღეის იქით ქალაქში ჩემი ფეხი იქნეს და ან თუ ეს ფული მე მოვიხმარო“.

ცა მოწმენდილი იყო და განთიადის შუქი უკვე მოტანებული.

ჩვენ დავრჩით საშინლად აღელვებული, ძარღვები სიბრაზით გვითრთოდა, აღარ ვიცოდით რა გვექნა, რომ ავაზაკი ხელიდგან გაუშვით და ვერც მისი მომსყიდველების სახელი და გვარი შევიტყეთ.

აკაკის წინადადებით ჩვენ გადავსწყვიტეთ და იქ დამსწრესაც ყველასა ვსთხოვეთ, რომ ეს ამბავი საიდუმლოდ დაცულიყო და არავის გაგვეხმაურებინა, მაგრამ ვიმეორებ ამ ჟამად დადგა ისეთი დღე და წუთი, რომ ამ შემთხვევის კიდევ ბურუსში დატოვება შეუძლებელიღაა და მეც ამიტომ დავარღვიე ფიცი და აღთქმა და გამოვამჟღავნე ამოდენა ხნის გულში დამარხული ეს საშინელი შემთხვევა.

**სოსიკო მერკვილაძე**

*
* *

ბარობს შენით ქალი, კაცი,
ამწერი, ჩიტი, ირგვლივ ყველა,
ნიავიც კი მოსისინე
თავზედ დაგქრის ნელა-ნელა.
გაფუჩქვნილი ბუჩქის ძირას,
გიალერსებს ნაზი ია
და ბულბულიც მხიარულათ
შემოგძახის „ტია, ტია“!
მგოსნის მღერას უერთდება
სალამურის ხმა მკვნესარე,
და ამ ჰანგზე იფურჩქნება
საქართველოს არე-მარე.
დაჰღიღინებს ქვაბულიძე,
მას ბანს აძლევს ბერი გელა
და მუშებიც მათთან ერთად
„მუმლი მუხას“, მღერის ყველა.

**გიორგი ნუციძე**

# კრიტიკული ესკიზი

—

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სამებაა, რომელიც წარმოადგენს ქართველი ერის სიწმინდეს, დიდებას, მშვენებას და სიამაყეს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. სამივემ ქართული პოეზია ააყვავეს და ევროპის პოეზიას ამოუყენეს გვერდით. თუ ინგლისელები ამაყობენ ბაირონით, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ბარათაშვილით; თუ ფრანგები ამაყობენ ვიქტორ ჰიუგოთი, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ილია ჭავჭავაძით; თუ რუსები ამაყობენ პუშკინით, ჩვენ შეგვიძლიან ვიამაყოთ აკაკი წერეთლით.

ის ერი, რომელსაც შეუძლია ერთ ხანაში ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის წარმოშობა, არ მოკვდება,—ამისთანა ერს დიდებული მომავალი აქვს.

აკაკი წერეთელი განხორციელებული პოეზიაა, ის ქართული ხელოვნების ჰენიოსია. მისი ლირიკა უკვდავია,—აქ მუსიკა და პოეზია ერთათ არის შედუღებული. აკაკი წერეთლის პოეზიაში თავმოყრილია მთელი ქართველი ერის სულის კვეთება, ფიქრი, გრძნობა, მისწრაფება. აკაკი წერეთლის პოეზია—ეს ქართველი ერის ფიქრია, ქართველი ერის გრძნობა, ქართველი ერის მისწრაფება, მისი გულის ნადები. პოეტი, რომელიც ასე სრულათ, ასე ღრმათ გამოჰხატავს მთელი ერის სულსა და გულს, ჭეშმარიტათ ჰენიოსია.

აკაკი წერეთელმა პოეზიის ყოველ დარგს დააჩნია ძლიერი კვალი, მაგრამ შეუდარებელი, სწორუპოვარი და უკვდავი ის ლირიკაშია. აქ აკაკი წერეთელი თამამათ შეგვიძლია გვერდში ამოვუყენოთ მსოფლიო ლირიკოსებს. გრძნობა სხვა არის, მისი გამოხატვა, გადმოცემა კი სულ სხვა. აკაკის ნიჭის სიძლიერეც იმაში მდგომარეობს, რომ თავის გრძნობებისა და მათ

მიერ აღძრულ ფიქრებს პოეტი იმდენათ მკაფიოთ, ნათლათ და სრულათ გვიხატავს, რომ ჩვენც ვიმსჭვალებით პოეტის ფიქრითა და გრძნობით.

აკაკი წერეთელი ეროვნული პოეტია. მისი პოეზია ქართველი ერის გულის ნადებია და სულის კვეთება. ის მუდამ ქართველ ხალხს, ქართულ ცხოვრებას, ქართველების ბედ-იღბალს დასტრიალებს თავს;—ამავე დროს აკაკის ლირიკა მსოფლიო ლირიკაა. აი ამაში მდგომარეობს აკაკის ნიჭის სიდიდე: ეროვნულს ნიადაგზე მან შექმნა მსოფლიო პოეზია.

პოეზიის გარეგანი სიმშვენიერე აკაკი წერეთელმა უმწვერვალესათ განავითარა; ამ მხრივ მან თითქმის სამზღვარს მიაღწია და ჩვენს მწერლობაში ხომ სწორი არა ჰყავს. როდესაც ჰკითხულობთ აკაკის ნაწერებს, მხოლოთ მაშინა გრძნობთ მეტის სიცხოველით, თუ რა არის ჭეშმარიტი პოეზია და რაში მდგომარეობს მისი სიმშვენიერე. გგონიათ, რომ ყოველი ადამიანი ისე უნდა ლაპარაკობდეს, როგორც აკაკი წერეთელი სწერს. მე არ ვიცი პოეტი, რომლის ნაწერებში რითმა იმდენათ ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იყოს, როგორც აკაკის პოეზიაშია.

როდესაც დაუკვირდებით იმ ენას, რომლითაც აკაკიზე ადრე სწერდენ და შეადარებთ მას აკაკის ენას, დაინახავთ ნათლათ, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკის ქართული სალიტერატურო ენის წინაშე. თანამედროვე სამწერლო ენა აკაკი წერეთელმა შექმნა; მან გაამარტივა, გაამდაბიურა, გაამდიდრა, გაამშვენიერა ქართული ენა და ერთნაირათ ადვილათ გასაგები გახადა ის ყოველი ქართველი მკითხველისათვის. არ არსებობს ისეთი გრძნობა, ისეთი აზრი, ისეთი ფიქრი, რომლის მკაფიოთ გამოხატვა არ შეიძლებოდეს აკაკის ენით.

აკაკი წერეთელმა უკვდავი ჰყო ქართული პოეზია და ქართული ენა და ამით მან უკვდავი ჰყო თავისი თავი.

**ივ. გომართელი**

* * *

ქართველთ დიდებავ, სულ-მნათო,
ვარსკვლავო, მზებრ სხივოსანო,
ენა მეტყველო, გულადო,
სწორ-უპოვარო, მგოსანო!
მივესალმები შენს კალამს
და მადლით მოსილ მარჯვენას;
თაყვანს ვცემ შენსა უებროს
ზენაარ ნიჭიერებას.
მივესალმები შენს ჩანგის
სიმთა საამო ჟღერასა,—
ქვრივ-ობლის, ბედით ჩაგრულის
გამამხნევებელ მღერასა!
შევსტრფი, შევნატრი გულითა
შენს დაუდეგარ შრომასა,
ქართველთა გასაჭირშია
მუდამ დამცველად დგომასა.
შენის ლექსებით თანაბრად
საზრდოობს დიდი, პატარა, —
სალამს უძღვნიან,—ვინც ქართველთ
სვე-ბედი ხელით ატარა...
დიდება შენსა მარჯვენას,
კანდელო ჩაუქრობელო,
ბნელეთში მყოფთა გუშაგო,
და სხივთა უხვად მფრქვეველო!

**ლადო კატოძე**

# მოგონება

—:—

ჯიქნებოდი ასე 15—16 წლისა, როდესაც ძმებმა ჩამომიყვანეს ტფილისში და მიმცეს სამოქალაქო სასწავლებელში. 15—16 წელიწადი არც ისე ცოტაა, რომ ახალგაზდამ არ იცოდეს თვის ვინაობა ეროვნების მხრივ, რომ ცოტათ, ბინდბუნდათ მაინც არ ჰხედავდეს მას, რაც ჰხდება მის გარშემო. მაგრამ მე მაგ მხრივ ძალიან უვიცი, თითქმის ბრმა ვიყავი; არ ვიცი, მე ვიყავ იმაში დამნაშავე, თუ ის გარემოება, ის ატმოსფერა, რომელშიაც მანამდისინ ვიმყოფებოდი — აბა რა უნდა გამეგო, რა მენახა, რა უნდა მეეხილა ჩემს თვალებს, როდესაც თელავმა და თელავის სამოქალაქო სასწავლებელმა, სადაც თბილისში ჩამოსვლამდისინ სამი წელიწადი დავყავი, ჰიდაობის და მუშტი-კრივის მეტი არა მასწავლეს-რა .. მაგრამ აქ დამნაშავე არც თელავია და არც მისი სასწავლებელი, დამნაშავე იყო დრო, „დრო მშვენიერი, მაგრამ ღმერთმა-კი დაგვიფაროს, რომ ისევ დაგვიბრუნდეს იგი“.

დიაღ, დავიწყე სიარული ტფილისის სამოქალაქო სასწავლებელში. ერთ დღეს მეექვსე გაკვეთილი ქართული ენისა იყო; მეხუთე გაკვეთილის შემდეგ ავიღე წიგნები და შინ წასვლა დავაპირე. „სად მიდიხარ?“ —მკითხეს ამხანაგებმა —ქართველებმა —„შინ“ იყო ჩემი პასუხი.—ქართული ენის გაკვეთილი?—მერე, მე რა. —„ბიჭო, შენ ქართველი არა ხარ“? განცვიფრებით მომვარდნენ ქართველები აქეთ-იქიდან. —„რათა ვარ ქართველი“, მეწყინა კიდეც, —„ქართველი კი არა ვარ, თუში ვარ“!.. გაოცებით დამიწყეს ცქერა ამხანაგებმა. გავწიე შინისკენ. სანამ ეზოდან ქუჩაში გავდიოდი, დამეწია ერთი უფრო გონება გახსნილი ამხანაგი ქართველი და მითხრა: ბიჭო, დარჩი, დღეს მასწავლებელმა უნდა წაგვიკითხოს ახალი ქართული წიგნი, ამპობენ ძალიან კარგიაო. კარგი მეთქი და დავრჩი. მეხუთე და მეექვსე განყო-

ფილების ქართული მოწაფეები შევიკრიფენით ერთ კლასში. დადგეს მაღლათ კაფედრა. მოუთმენლად ველოდებოდით მასწავლებელს. აჰა, შემოვიდა ბ. მ. ნ—ძე. სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მასწავლებელი ავიდა კაფედრაზე, მიმოგვავლო თვალი, ამოიღო უბის ჯიბიდან ახალი წიგნი, გადაშალა და მჭეხარე, აღფრთოვანებულის ხმით დაიწყო:

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვასკვლავები;
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველთ გმირთა მხარ-მკლავები...

დამახსოვდა ის სიამოვნების წუთები!.. როგორც მჭრელი მახვილი, გამიარეს ამ სიტყვებმა მანამდისინ ყრუ გულში... მთელი ჩემი არსებით სმენათ გარდავიქეცი. შემდეგ და შემდეგ გაღვიძებულმა გულმა თრთოლა დაიწყო, ძარღვებში სისხლი ადუღდა და აჩქეფდა.

...სად ხარ, გამოდი, ნუ იმალები,
თუ რომ გულს გერჩის, ორბელიძეო?!.

ამ ბრძოლის სურათს ველარ გაუძლო მთის გმირულ სიმღერებზედ და გარდმოცემებზე აღზდილმა ჭაბუკმა გულმა და, როდესაც ბრძოლის ველზე უმხედრო ორბელიძის ცხენის დანახვაზე თორნიკემ

ვეჰ,—დაიყვირა, ამას არ უნდა ბევრი ფიციო,
საფრთხეში არის და განსაცდელში
ცხენოსანთ ჯარი, სწორეთ ვიციო!..

ყელში ამომებჯინა, მოკუმშულ მუშტებით ზეზე წამოვვარდი და ამ დროს თვალებიდან ღაპა-ღუპით ცრემლები წამომსკდა...

მასწავლებელმა გაათავა და ამხანაგების ხმაურობამ გამომიყვანა იმ

ტკბილ ოცნებებიდან, რომელშიაც სასოებით ვუმზერდი, ვით ცოცხალთ: ნინოს, თამარს და ქეთევანს; დიდებულ დავითს, გულ-ლომს, ამასთან გულ-კეთილს და სათნოიან გმირს ორბელიძეს და ძველ არწივს—ეხლა წმიდა მამას თორნიკეს... ამ გმირთ აათრთოლეს პირველათ ჩემი გული და ჩააწვეთეს აღმაფრთოვანებელი, მამულისადმი უკვდავი სიყვარული!..

**ივ. ბუქურაული**

# პოეტი

—

ელთ აიღებდა ფანდურსა,
დაჰკრავდა გულის სიმებსა,
ზედ დამღერებდა მწარე ხმებს
სევდიანს დასამძიმებსა.
გულ-ამოსკვნილი ტიროდა
უდროვოთ დასატირებსა;
უფრო ხმა-მაღლა უხმობდა
თავის მომავალ გმირებსა...
გრდემლს სცემდა კვერს და უროსა,
უკვდავ კალამსა ჰკვერავდა,
ნაწრთობსა ნაკვერჩხალშია
შხამ-ნაღველითა ჰფერავდა.
როგორც ზღვა ფაფარ აყრილი
გულ-ზვიადურად ღელავდა,
როგორც ცა განრისხებული
სჰქედა, ჰქუხდა და ელავდა.
ვით ლომი გულად დაცდილი
ყველას შიშს გვრიდა, ზარავდა;
ვით ამირანი ღმერთებსა
ცეცხლს გაუქრობელს ჰპარავდა,
რომ მოეტანა ქვეყნათა,
მთელი ხალხისთვის დაენთო
და შუქი მისი სიბნელის
დასათრგუნავათ გაენთო,

და აჰა, კიდეც აღსრულდა
წადილი მისი გულისა,
ცეცხლის გარშემო ტრიალებს
გრძნობა მის სიყვარულსა.
მოდით და დასთბით ამ ცეცხლით
ვინცა ხართ გასათბობელი;
ასე ენთება მუდამ
მზე—გული გაუქრობელი.
პოეტო, გული ეგ შენი
ზღვა არის დაუშრეტელი,
გიმზერთ და ვსტკბებით დღეის დღით
ყველა აქ შენი მეტრეტელი.

**შ. მღვიმელი**

* * *

ოდესაც ბავშვი შორს დაინახავს
საყვარელს მამას, დიდხანს არ ნა-
ხელს მისკენ იშვერს, იცინის, ღელავს, (ხულს,—
გულით ეძლევა იგი სიხარულს.
მამა-მგოსანო! მირონ-ცხებული
ეგ შენი სახე მეცა მახარებს
და მეტის ლხენით აღვსილი გული
უსიტყვოთ მაღზნებს და მამღელვარებს!..

**ი. მჭედლიშვილი**

* * *

ასევ შენ ჰნათობ ერის ნუგეშათ,
შენი სახელი გარს ევლინება;
მამულიშვილო! შენი ჩანგთ ჟღერა
მკვდარს საფლავშიაც კი ეყურება!

მეც ავსდექ მკვდრეთით—გამომეფხიზლა...
მოველ შენს კარსა გიძღვნა სალამი
და ქართველთ ხალხის სადიდებელათ
მადლით გიკურთხოს ღმერთმა კალამი!

**კ. გულიაშვილი**

# გოგასეულის კოშკი

(ნაწყვეტი)

—

ადაბურს ხევში, ძველ ნანგრევთ შორის,
მოსჩანს ეს ჩემი წმინდა ტაძარი,
ნაშთი ამიერ განვლილთ წინაპართ,
საფუძველ მტკიცე უზარ-მაზარი,
გამოხვეული ხავსის ძაძებში,
იმის მნახველთა გულ გასაგმირად
და, ვით მწუხარე ჭირისუფალი,
ჩაფიქრებული მდინარის პირად,
თითქო მოსთქვამსო, რომ აქ ოდესმე
ჰდუღდა სიცოცხლე თურმე განთქმული,
ელფერ-შეცვლილი დროთა ბრუნვისგან,
ბედის ქარ-ცეცხლში ჩამჭკნარ-ჩანთქმული...
მისი წარსული, თაფლ-ნაღვლით სავსე,
მიზიდავს შორით აქ მომავალსა
და ვეკითხები მას გულ ნატკენი,
როცა მივაპყრობ გონების თვალსა:
„აბა რას ფიქრობ, ჩემო ბაღარავ?
„რათ მოგიხრია მხცოვანი თავი?
„რისთვის ჩაგიცვამს შენ ეგ ძაძები,
„წყლულის აღმძვრელი სულ შემხუთავი?..

„ნუ თუ მოგიკვდა მართლა პატრონი?
„დაობლდი, ბეჩავ, ერთ დროს ძლიერი
„და შენს მიდამო ხევსაც მოესხა
„ტურა-მელათა გროვა მშიერი!

„მოიკალათა შენს დედა-გულში,
„რაკი ერთხელვე შემოდგა ფეხი...
„და, ვით თავხედი გიჟი ქორწილში,
„აღარ გშორდება ურცხვი, უკმეხი...

„ისმის დღე და ღამ მათი ჩხავილი...
„მათი ბელადიც იქ, სერზედა ჰყეფს
„და იმუქრება, რომ ეგ ნადირი
„აწ არხეინად იშენ-იბარტყებს...

„დიახ, მოხუცო, ვიცი რას ჩივი;
„ეს უხმო კვნესა ჩემთვის ცხადია,
„მაგრამ ცხადია ისიც, რომ ბედი
„მიეთ-მოეთობს, ცვალებადია...

„დღეს ერთთანაა, ხვალ მეორესთან,
„ზეგ სხვას მიაფრენს მეშვიდე ცამდე...
„მაგრამ იცოდე, რომ ის არავის
„არ შეაცხვება უკუნისამდე!..

„ადრე თუ გვიან, უკუ უდგება,
„შეახებს თავისს უწყალო ხელსა
„და შეაჩერებს მის აღმაფრენას,
„რა განუმზადებს მას შხამ-ნაღველსა, —

„ისეთს, როგორიც შენ თვით იგემე,
„როგორც სასჯელი თავ გადუვალი...
„მაშ სხვაც ელოდეს, რომ გაიმეხებს
„მოულოდნელათ დრო მომავალი,

„დრო, რომ დადგება დღე განკითხვის
„დაჰკრავს საათი თავზარდამცემ

„და შიშთვილსა ჰყოფს ის, ვინც გღალატობს,
„ვითა იუდა მოძღვრის გამცემი...

„გაიწმინდება შენი მიდამო,
„დღეს ყოველ ქვემძრომთ ბინა-სამყოფი,
„და განახლდები ისე ვით ნაშთი,
„წმინდა მარჯვენის ნაშრომ-ნაყოფი...

„მაშ ნუ სთვლემ, გწამდეს, რომ აჰყვავდება
„კვლავ ეგ მამული, გოგასეულო,
„უხმო მოწამევ ჩვენის ცხოვრების,
„შავის ფიქრებით გარმოსეულო“!!.

**იასონ წერეთელი**

* * *

ასიქადულო მამულის შვილო,
ორმოც-და-ათ წლის, ქვ:ლო მუშაკო!
გრძნობის ლამპარო ჩვენის ქვეყნისა,
ძალა არ შემწევს ღირსად შეგამკო!..
ქართველ ერს სულით დაობლებულსა
შენ მოევლინე აწყობილ ჩანგით;
და ააღერე, ზედ დაამღერე,
მგოსანო, ლექსი ციურის ჰანგით!
შენმა ლექსებმა ტანჯულ სამშობლოს
კვლავ მოაგონეს ქნარი რუსთველის;
კვლავ გაამხნევეს და ააძგერეს
მაღალის გრძნობით გული ქართველის.
გზა ძნელი წინ გხვდა, შავი ბურუსით
იყო მოცული სამშობლო მხარე,
მაგრამ შენ მაინც მედგრად იბრძოდი,
ერთხელაც ქედი არ მოიხარე!
თუმც-კი მოხუცდი, კვლავ ლექსებს ტკბილსა
ხმა მაღლათ ჩანგზე გრძნობით ამღერებ;
სამშობლოსადმი სიყვარულითა
ქართველების გულს აკვნეს-აძგერებ.
ვაშა შენს შრომას, დიდო მგოსანო!
ერის დიდების გამომხატველო!
შენით აღგზნილი, აღტაცებული,
ვაშას შეგძახის ღღეს საქართველო!..

**კ. კვინიხიძე**

ჯ ზისა სხივებით გარშემორტყმული
სდგას სამშობლოს წინ იგი უკვდავი,
ესაძირკვლება მას ქართველთ გული,
ცას უბჯენია ბუმბერაზს თავი!
ორფეოსისა ღვთიური ქნარი
ხელში უჭირავს მგოსანს მშვენიერს;
მისი სიმღერა ტკბილი, ნარნარი
თავსა ევლება მრავალ ტანჯულ ერს,
მისი სიმღერა... სურნელოვანი
ია-ვარდისა თაიგულივით!
მისი სიმღერა... ჰაეროვანი
უკვდავ-უსაზღვრო სიყვარულივით!..
აი გაისმა ჰანგი სევდისა...
და ერი მწარედ მოსთქვამს და სტირის,
მწყევლელ-მკრულავი თავის ბედისა
მგოსანთან ერთად ცხარე ცრემლსა ღვრის!..
მაგრამ აი ქნარმა გრძნეულმა
შეათამაშა ზვირთნი სიცილის
და გაიღიმა მწუხარე გულმა,
ერი იცინის... ტკბილად იცინის!..
ხან ბულბულივით ეშხით ჰგზნებული
მგოსანი შესტრფის ქალწულ სიყვარულს,
მისი მსმენელი—შეყვარებული
გულისა სატრფოს უძღვნის თავის სულს...

და ხანაც ერი ძილს მიცემული
ყურს მოჰკრავს ხოლმე საგმირო ძახილს,
ფიცხლავ იღვიძებს აღტაცებული
და ლესავს სამტროდ მრისხანე მახვილს!..
დიდო მოხუცო! ივერთა სულის —
ძვირფას საუნჯის შენა ხარ მცველი,
მის კაეშანის, მის სიხარულის
გამომცნობელი, გამომხატველი!
მიტომც ჩვენ გულში დიად-ნათელი
დგას შენი ძეგლი კლდეზე მაგარი,
მას ვერ მოსპობენ ვერც მტრისა ხელი,
ვერც თოვლი, წვიმა, ცეცხლი და ქარი!..
გიკურთხოს ცამა ჭაღარა თავი,
მგოსანო, ტკბილო და საყვარელო,
ვით საქართველომ შენ გყო უკვდავი,
ისე უკვდავ ჰყავ შენ საქართველო.

**კ. მაყაშვილი**

## (ექსპრომტი)

—.

ჩემნა დამტკბარი, გრძნობა გამთბარი
განვშორებოდი ქვეყნიერებას,
და შევსცქეროდი აღტაცებული
თქვენს სახეს ღვთიურს, მშვენიერებას.
შევსჩერებოდი ბაგეს მღიმარეს
მუსიკურ სიტყვებთ წარმომშობელსა,
აზრებს საამოს, გულის წარმტაცსა
თქვენივე ნიჭთა შემამკობელსა.
ბევრგვარი იყო თქვენი თქმულობა,
ხან შურის ძებნა, და ხან წრფელობა,
ხან მოგონება სიჭაბუკისა,
ხან სიყვარული, მისგან ხელობა.
კვლავაც მგოსანო ეგე ჭაღარა,
ნუ შეგაფერხებს, ძალა შენია,
გეტრფის ყმაწვილი, გეტრფის მოხუცი,
ქება-დიდება შენ დაგშთენია.

**პასიკო ლორ.**

* * *

Დიდება შენს ღვაწლს, ერის ლამპარო,
წყაროვ უშრეტო, უკდავებავ და სანეტარო, —
სიყრმით მოღვაწევ და სამშობლოს ამყვავებელო
გულის სიყრმიდგან, ჩანგის ტკბილათ ამჟღერებელო,

—

ვეტრფი შენს დროშას, დიდებულს წარწერილს,
ტანჯვებში ნაწრთობს, მტრის ლახვრით, ფრთა გაწეწილსა :
„მიყვარს სამშობლო, ერი დაობლებული,
მსურს აღვადგინო დაცემული, ვისთვის ძგერს გული“.

—

აჰა, აყვავდა შრომა შენი ნაყოფიერი,
დიად დროშის ქვეშ აღტაცებით შემოკრბა ერი ;
ირგვლივ გაისმის ხმა საამო, დამატკბობელი,
ერთ ხმათ ღაღადებს ერი შენი, მიყვარს მშობელი ;

—

მძლავრი გუგუნი არა სცხრება, სჭექს და გრიალებს,
ზღვა ზვირთებს ისვრის აშფოთებით ჰყეფავს, ღრიალებს,
სურს განანათლოს ბედი თვისი, მრავლათ ტანჯული
და დაამსხვრიოს რითაც არის დღეს მიჯაჭული !

**გიორგი ქიზიყელი**